სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს

უწმინდესო და უნეტარესო,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომლის საპატიო

წევრი თქვენ ბრძადებით, გულითადად გილოცავთ 90-ე დაბადების დღეს და აღსაყდრებიდან 45-ე წლისთავს.

განუზომელია თქვენი ღვაწლი საქართველოსა და მისი სამოციქულო

მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე: თქვენ ჩაიბარეთ თითქმის უმრევლო ეკლესია 50-მდე მოქმედი ტაძრით და ორმოციოდე სასულიერო პირით... თქვენი დიდი ძალისხმევით დაიწყო და დღითიდღე იზრდება საქართველოს ეკლესიის აღმავლობის პროცესი და დღეს სახელოვან იუბილეს გილოცავთ 50-მდე ეპარქიის 2000-ზე მეტი ტაძრის 3000-მდე სასულიერო პირი დაასიათასობით მართლმადიდებელი თანამემამულე ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ გაფანტული ქართველები, რომლებიც თქვენი დაუცხრომელი ზრუნვით მტკიცედ ინარჩუნებენ მუდმივ ერთობას დედა-ეკლესიასთან და მშობლიურ ფესვებთან.

თქვენი ბრძნული გადაწყვეტილებებით საქართველოს ეკლესია გასცდა თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს და თავის წიაღში შემოიკრიბა დედა-სამშობლოს მოწყვეტილი ქართული ისტორიული მხარეები.

თქვენი ღვაწლითა და ბრძნული საჭეთმპყრობელობით საქართველოს ეკლესიამ უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა ქრისტიანულ სამყაროში და გულწრფელი პატივისცემა განსხვავებული სარწმუნოების მიმდევართა შორის.

თქვენი დაუღალავი ზრუნვის შედეგია სასულიერო განათლების აღორძინება საქართველოში. თქვენი მოღვაწეობა სარწმუნოების, მეცნიერებისა და განათლების ჰარმონიული შერწყმის თვალსაჩინო მაგალითია.

უწმინედსო და უნეტარესო, დიდი სიხარულით ვუერთდებით მადლიერი ქართველი ხალხის საყოველთაო ამაღლებულ განწყობილებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

უღრმესი პატივისცემით,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით
პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**